



შირაქი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№7 (9.671)

28 თებერვალი-7 მარტი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირული გამოცემა

საავადმყოფოს მშენებლობა დაიწყო



მაგალითი, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფომ მოახდინოს საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება. ნაცვლად კაპიკებში პრივატიზებისა, მოახდინოს ისეთი ობიექტების მშენებლობა, რომელზეც საზოგადოებაში მოთხოვნა დიდია.

ვალერი კვარაცხელია - „ვინაიდან ამჟამად მოქმედი საავადმყოფო ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ახალი კლინიკა აშენდეს. მშენებლობის დასრულების შემდეგ ყველა სერვისის ადგილზე მიღება იქნება შესაძლებელი, რაც კი

მრავალწლიანი გაჭიანურების შემდეგ დედოფლისწყაროში ახალი საავადმყოფოს მშენებლობის პროცესი დაიწყო. ამისათვის სახელმწიფო 4 მილიონამდე ლარს დახარჯავს.

„შირაქის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ დედოფლისწყაროში საავადმყოფოს მშენებლობის ვალდებულება საკუთარ თავზე ვერ ებრაულმა კომპანია „ადიტმა“ რამდენიმე წლის წინ აიღო, 2012 წელს სამშენებლო სამუშაოები „არქიმედემაც“ დაიწყო, თუმცა, კლინიკის აშენება ვერცერთმა შეძლო. მას შემდეგ, რაც მათი პირობა ფარსი აღმოჩნდა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სამედიცინო დაწესებულება თავად აეშენებინა. ჯანდაცვის სამინისტრომ საქართველოს რვა ქალაქში, მათ შორის დედოფლისწყაროში, ებრაულ „ადიტს“ საავადმყოფოები ჩამოართვა და „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ შექმნა. როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა ნუგზარ ბოლქვაძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, რვავე სამედიცინო დაწესებულება ამ ცენტრში გაერთიანდა, რომელთა მართვას სახელმწიფო განახორციელებს.

24 თებერვალს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გიორგი აბაშუკელმა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილესთან, ვალერი კვარაცხელიასთან და „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ დირექტორთან, სოსო ოზამცილთან ერთად დედოფლისწყაროში მრავალპროფილური

კლინიკის მშენებლობის პროცესი დაათვალიერეს. სამინისტროების წარმომადგენლებს კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი დედოფლისწყაროს გამგებელთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილთან ერთად მასპინძლობდა.

დედოფლისწყაროში მრავალპროფილური კლინიკის მშენებლობა 2014 წლის დეკემბრის ბოლოს დაიწყო. პროექტი ერთსართულიანია, თანამედროვე დიზაინის შენობის მშენებლობასა და ეზოს კეთილმოწყობას ითვალისწინებს. ახალი შენობა ძველ საავადმყოფოს ჩაანაცვლებს, რომელიც ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, ამორტიზებულია. სტაციონარში ერთდროულად 25 პაციენტის განთავსება იქნება შესაძლებელი. კლინიკა დედოფლისწყაროსა და ირგვლივ მდებარე 16 სოფლის, ჯამში, 32.531 მაცხოვრებელს მოემსახურება. ახალი მრავალპროფილური სტაციონარი საერთაშორისო სტანდარტების მქონე უახლესი ტექნიკით აღიჭურვება და პაციენტებს მრავალმხრივ სამედიცინო მომსახურებას გაუწევს. მშენებლობის დასრულება ერთ წელიწადში იგეგმება.

პროექტი სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 3 მლნ 700 ათას ლარს შეადგენს. პროექტზე, ამ ეტაპზე 20-მდე ადამიანი დასაქმებული, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეა.

კახეთის გუბერნატორის, ირაკლი შიოლაშვილის განცხა-

დებით, დედოფლისწყაროელთა ბიჭების ყველაზე პრიორიტეტული ახალი საავადმყოფოს მშენებლობაა. სწორედ ეს იყო დედოფლისწყაროს გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის ერთ-ერთი მთავარი დაპირება წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას.

ირაკლი შიოლაშვილი:

„ყველამ, სტუმრებთან ერთად მოვინახულეთ ამჟამად მოქმედი საავადმყოფოს შენობა. ვნახეთ რამდენად რთულ პირობებში უწევთ ყოფნა როგორც მედპერსონალს, ისე პაციენტებს. კატასტროფული ვითარებაა ამ შენობაში და ასეთი მემკვიდრეობა დაგვცვდა. მოსვლისთანავე ჩვენ პირობა მივეცით მოსახლეობას, რომ ყველაზე აუცილებელს - საავადმყოფოს მშენებლობას დავეინებდით.

როგორც ხედავთ, დაპირებას ვასრულებთ და მშენებლობის პროცესი უკვე დაიწყო. 25 სანოლიანი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საავადმყოფო გვექნება. მედპერსონალსაც შესაბამისი პირობები ექნება და პაციენტებსაც ყველა სერვისის მიღების საშუალება მიეცემათ. ვფიქრობ, რომ არა მარტო დედოფლისწყაროელებს, არამედ მეზობელ რაიონებსაც მოემსახურება. საგანგებოდ შეირჩა ადგილიც. ეს ტერიტორია რუსულ ჯარს ეკუთვნოდა და მათი გასვლის შემდეგ მიწის ნაკვეთები ნაწილობრივ გაიყიდა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა სახელმწიფომ კი არ გაყიდა, არამედ მიწის ნაკვეთი კერძო მესაკუთრეებისგან შეისყიდა და ახალ მშენებლობებს ინყებებს. ეს არის ერთერთი მისაბამი

არსებობს 21-ე საუკუნეში. აქ იქნება ქირურგიული, სამშობიარო, თვალის კლინიკა, ამბულატორიული, ინფექციური, აბსოლუტურად ყველაფერი. ეს კლინიკა დედოფლისწყაროსთვის ერთერთი სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია. პროცესი დეკემბერში უნდა დასრულდეს. უკვე ვზრუნავთ კლინიკის აღჭურვაზე. დაახლოებით ორ თვეში აღჭურვის პროგრამას დავეინებთ. პარალელურად უკვე ვზრუნავთ პერსონალის გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. წლის ბოლომდე კადრებსაც მოვაშენებთ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან შეიძლება კლინიკა ავაშენოთ, მაგრამ შესაბამისი კადრები არ გვყავდეს“.

ილია მარტყოფილი



რა ელის ღირს?!

გვ.2

ქონების ბარკეპვის დავაში მოსალოდნელი საფრთხე

გვ.5

დედოფლისწყაროში 18 პაპანსიაზე 122 ბანასხალი დარეგისტრირდა

გვ.2

ძალის გულტი სპარტიზმის შემთხვევა

გვ.3

მოხუცები და მათი ფიქრები...

ამ დღეებში დედოფლისწყაროს "სათნოების სახლი" არასამთავრობო ორგანიზაცია "დედოფლისწყაროს ქალების" ინიციატივით მოეწყო საექსპოზიციო აქცია, რომელიც გულისხმობდა ბენეფიციარების მომსახურებას ერთი დღით. ჩვენ, აქციის თითოეულ მონაწილეს, მისვლისთანავე უცნაური, ამაღლებელი სულიერი განწყობა დაგვეფლავა და იქ იმდენად დადებითი ენერჯით ავივსეთ, რომ მივხვდით, რაღაც სულ სხვა ძალა მოქმედებდა ჩვენზე, ძალა, რომელიც თითოეულ ადამიანს ენიჭება სულ უბრალო, თუნდაც ასეთი პატარა, უმნიშვნელო ქვემოქმედებისას. ნათქვამია, ქმედება უკუქმედების ტოლფასიაო და ასეა... ამიტომაც, მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები თავისი ქონების უდიდეს ნაწილს ქვემოქმედებას რომ ახმარენ, სამაგიეროდ ისინი უდიდეს დადებით ემოციას ღებულობენ იქიდან, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათთვის. სათნოების სახლის ბენეფიციარები ძირითადად უფროსი ასაკის ადამიანები არიან და ძალიან დამინტერესა, რაზე ფიქრობდა თითოეული მათგანი და საერთოდ, ძირითადად რაზე ფიქრობს ადამიანი 70-80 წლის შემდეგ, მათ გარდა, ვესაუბრე არა მხოლოდ ქალაქის, სხვადასხვა სოფლის მოხუცებსაც. ტოლსტოი ამბობდა: სიბერე ორი ნაბიჯით უსწრებს სიკვდილსო. მე, როგორც ერთი როგოთი ადამიანი, ასე არ ვფიქრობ. ბანალურია, მაგრამ, მგონია, ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვს და ეს ხიბლი თითოეულმა ჩვენ თავად უნდა შევმატოთ, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ აქედანვე, რომ საინტერესო და ხალისიანი სიბერე გვქონდეს, ამისთვის კი პირველ რიგში უნდა ვიყოთ აქტიურები, (რა თქმა უნდა, მხოლოდ საზოგადოებრივ აქტიურობას არ ვგულისხმობ) და აუცილებლად საქირონი... ხანდახან, ძალიან გადაღლილს მიფიქვია, რომ დაგვბერდები, კარგად დავკარგებ-მეთქი. არასოდეს შემშინებია სიბერის, თუმცა, კვლევები ამტკიცებენ, ადამიანთა უმრავლესობას ეშინია სიბერის, მაგრამ, მე მგონია, მათ სიბერის კი არ ეშინიათ, არამედ გაფრენილი დროის, დაკარგული ხალისის, სიმარტოვის... იმასაც ამბობენ, სიბერეში შეყვარების გრძნობას კარგავენ ადამიანები, მაგრამ უფრო ზუსტად რომ გავიგოთ, რას ფიქრობენ ცხოვრების ბოლოში გასული ადამიანები, სადამდე ვრცელდება მათი სამომავლო გეგმები, მათი ოცნებები, სად პოულობს დასასრულს მათი თვალსაწიერი, მაშინ როდესაც ახალგაზრდებს უფრო შორეული გეგმები გვაქვს, ვოცნებობთ იმაზე, რა და როგორ იქნება ჩვენი

და ჩვენი შვილების ცხოვრება მონყოილი თუნდაც 30-40 წლის შემდეგ... ყოველივე ამის შესახებ ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ თავად მოხუცებს და შემდეგ საბოლოო სიტყვა ფსიქოლოგს დავეთვით.

თინა, 82 წელი: მე მარტოხელა ვარ, თუმცა ნათესავები კარგად მპატრონობენ, რომ იტყვიან, ცივ ნიავს არ მაკარებ-



ბენ, მაგრამ მაინც მეშინია, რომ ვიძინებ, ასე მგონია, შეიძლება ველარ გავიღვიძო, სამომავლო გეგმები კი საერთოდ არ გამაჩნია, გარდა იმისა, რომ გარდავიცვლები, ყველაფერი ისე დავტოვო, რომ ჩემმა ახლობლებმა უპრობლემოდ მოაგვარონ შემდგომი პროცესები, ამისათვის თანხასაც ვაგროვებ... ჩემი ფიქრები ყოველდღიური ყოფითი ცხოვრებით შემოიფარგლება, მინდა, ჩემი ყველა ნათესავი და მათი შვილები, შვილიშვილები კარგად იყვნენ, სამომავლო გეგმები, რომ იყვიან, არ გამაჩნია...


ნინო, 78 წელი: ჩემი ფიქრები და ოცნებები ჩემი შვილების და შვილიშვილების გარშემო ტრიალებს, სულ მათზე ვზრუნავ, მათზე ფიქრით მიღამდება და მითენდება, სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი მყავს, ჩემს თავზე არც ახალგაზრდობაში ვფიქრობდი და ახლა მითუმეტეს. რა თქმა უნდა, გარკვეული ასაკის მერე დიდი სამომავლო გეგმები თავიდან წელ-წელა გმორდება, მაგრამ ეს სულ არ არის შემანუხლებელი, საერთოდაც, მგონია, ადამიანი თუ ოპტიმისტი და ხალისიანი ბუნებისაა, საერთოდ ვერ შეუშლის ხელს მას სიბერე ვერაფერი...

ანთონ, 88 წელი: მე რაც მეუფლე გარდამეცვალა, ჩემმა შვილიშვილებმა მარტო არ დამტოვეს და ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მათთან გადამიყვანეს, იქ ერთი წუთითაც არ მიგრძენია, რომ მათ

რამეში არ ვჭირდები, მინდა შევიღებო და მოვესწრო, ეს არის ჩემი ყველაზე დიდი, სერიოზული კავშირი მომავალთან...

ანთონ, 80 წელი: მე უკიდურეს გაჭირვებაში ვცხოვრობ, ჩემს ობოლ შვილიშვილებს ვეხმარები ჩემი პენსიით და ვენახის დამუშავებაზე ვოცნებობ, რომ ჩემს რძალს რაღაცით მხარში ამოვუდგე... შორეული გეგმები საერთოდ არ გამაჩნია და არც მახსოვს, ეს ასაკიდან გამომდინარე დამემართა, ახალგაზრდობაში კი ბევრს ვოცნებობდი მომავალზე...

ბესიკ გიმოლაშვილი, ფსიქოლოგი: - ისევე როგორც მოხუცებულობას ვერ ასცდება ადამიანი, ასევე გარდაუვალია ცხოვრების მინორულს მის წინაშე წამოჭრილი განსაკუთრებული განცდები, სულიერი მდგომარეობა და აქედან გამომდინა-



რე, ფიქრები და შეხედულებები.

მოხუცი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც ის იწყებს თავისი ცხოვრების ერთგვარ შეჯამებას და შეფასებას. ხშირ შემთხვევაში მოხუცი ადამიანი მარტოობას განიცდის ამ გაანალიზებისა და შეჯამების პროცესში, ეს კი თითქოს ერთგვარი შეება მათთვის იმ დროს, როდესაც მისი ოჯახის შედარებით ახალგაზრდა წევრები გადართულნი არიან ყოფითი ცხოვრების საზრუნავზე და ნაკლებად თუ იცლიან ოჯახის ასაკოვანი წევრის, თუნ-

დაც მოსასმენად. თუმცა, შედარებით მსუბუქი გადასატანია იმ მოხუცთა ყოფა, რომელსაც მეუფლე გვერდში ჰყავს, ასეთ შემთხვევაში მოხუცებული წყვილი ძირითადად ერთმანეთს უზიარებს თავის მოსაზრებას განვილი ცხოვრებაზე და ამით, თითქოს ხელახლა განიცდიან იმ დადებით ემოციას, რომელიც მათ ცხოვრებაში იქნა მიღწეული მათი ერთობლივი შრომითა და გარჯით. ასეთი გახსენება მათ ცხოვრებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, საბოლოოდ კი, ეს არის ერთგვარი მათი ინდივიდუალური ცხოვრების განსაკუთრებული დანახვა. რაც შეეხება მარტოხელა მოხუცთა განცდებს, აქაც თვისობრივად შეჯამება განვილი ცხოვრებისა. სასურველია, ის არ ფიქრობდეს მხოლოდ წარსულზე და იფიქროს იმ დარჩენილ სამომავლო პერიოდზე, რაც წინ ელოდება. მარტოხელა მოხუცმა საზრისი რომ შესძინოს თავის დარჩენილ ცხოვრებას, სასარგებლო იქნება, თუკი თავიანთ ცხოვრებისეულ მოცდილებას გაუზიარებენ ახალგაზრდებს და ამით აგრძნობინებენ მათ, რომ სიბერე არა მხოლოდ ფიზიოლოგიური პროცესია, არამედ ის სრულიად განსაკუთრებული და სმირად ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპიც არის.

სიყვარულით შევასვენებ ჩვენს მოხუცებს, რომ ისინი ჩვენი განუყოფელი და განუმეორებელი ნაწილი რჩებიან თვით გარდაცვალების შემდეგაც კი, ხოლო განუმეორებლობა ნებისმიერი მათგანისა ნიშნავს იმას, რომ მათ დავინწყება არ უნერიათ და ისინი მუდამ ჩვენთან იქნებიან. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველანი ყოველთვის ერთად ვართ და ვიქნებით! - ასე დაასრულა ჩვენთან საუბარი ბატონმა ბესიკმა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ისინი ჩვენი განუყოფელი ნაწილი არიან და ამას ყოველი ჩვენგანი ვგრძნობთ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას...

ელზა ხარაშვილი

მრავალშვილიანი ქალი სამუოხლოს თაიგულიაო

„მწერლობა გმირობის გამოსატყულებსაა მხოლოდ, მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი და სხვა არაფერი“ (კ.გამსახურელი). მე არც მწერლობაზე მაქვს პრეტენზია და არც, მით უმეტეს, ზემოთ მოხმობილი სტრიქონების ავტორის აჩრდილის ტოლფასად ვთვლი თავს, მაგრამ გმირის შესახებ კი უნდა მოგიტხროთ. ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის ქვემო ქედის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი მაგული ბერიანიძე გმირი დედის ქვემარტივი ეტალონია. რას მივიჩნევ მისი გმირად აღიარების კრიტერიუმად, ამის შესახებ ქვემოთ მოგიტხრობთ და ჩემი მოკრძალებული სტრიქონები დაგარწმუნებთ, რომ არ ვცდები.

მაგული ბერიანიძემ 13 წლის წინ საკუთარი ბედი ქვემო ქედის მკვიდრს, პროფესიით ექიმს, ავთანდილ ხარხელაურს დაუკავშირა. მუდამ დომილიანი სახე, სათანადო მზერა და ოდნავ მაცდური თვალები-ეს მისი სავიზიტო ბარათია... მაგრამ ამჯერად, მაგულის არც შტრიხები პორტრეტისათვის და არც ფსიქოლოგიური ნიუანსები არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც მთავარი მიზეზი ჩემი მუხისა. ჩვენი წერილის მთავარი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მაგულიმ ხარხელაურებს, ჯერჯერობით, ხუთი შესანიშნავი შვილი აჩუქა (ოთხი ვაჟი და ერთი გოგონა), არ იფიქროთ, ნანატრი ქალიშვილის სურვილმა მოაწვინა ქვეყანაზე ეს თვალხატულა გოგო-ბიჭები.

არა, თამარი უფროსი ვაჟის ნიკოლოზის შემდეგ დაიბადა, მას ბაჩო მოყვა, შემდეგ ლაშკო და გასულ წელს ქვეყანას პატარა თორნიკე მოეწვინა.

მაგულის და ავთოს ხუთი შვილიდან ოთხი ჩვენი სკოლის მოსწავლეა. მათი დანახვა სიამით გვახსებს, შინაგანი კულტურა, სწავლის წყურვილი და ფა-



ქიზი სული ისევე თვალსაჩინოა ყველა მათგანში, როგორც ოცი-ოცდაათი წლის წინ იყო ამ პატარა ხარხელაურების მამის(ავთანდილი), ბიძის(გიორგი) და მამიდის(ლალი) მოსწავლეობისას. სამაგალითო მშობლებისა და ბებების, ქალბატონი ვენერას დიდაქტიკური მე-

თოდები აშკარად ნაყოფიერია. დღეს ხშირად გაიგონებთ უფროსებიდან დღევანდელი თაობის შესახებ საყვედურებს, პატარა ხარხელაურებმა კი თავისი მაღალი მოტივაციით თითქმის დაარღვიეს მითი თანამედროვე ბავშვის უინტერესობასა და უპასუხისმგებლობის შესახებ.

წერილის თემიდან თითქოს დავშორდი, მაგრამ მაგული ბერიანიძე, გმირი დედა, სწორედ მათი კარგი აღზრდითა და განათლებით დადის მხრებგამოვლილი. მას ყოველთვის შესწევს ძალა, სიტბო და სიყვარული, ყურადღება და მზრუნველობა არ მოაკლოს,

როგორც საკუთარ შვილებს, ისე სკოლის აღსაზრდელებს. ყოველთვის ხალისიანი, ენერგიული, მზრუნველი ახერხებს ვიზუალურადაც მშვენივრად გამოიყურებოდეს. ამ ყველაფრის გამო გადაწყვიტე მაგული ბერიანიძის ღირსება თქვენთვისაც გამეცნო. სტატიის წერისას ერთ პოეტურ ქვემარტივებაში დავრწმუნდი: „კაცნი ხართ ქალთა მოქანდაკენი“. სწორედ ავთანდილ ხარხელაურს მიუძღვის ლომის წილი მაგულის გმირად ქვეყანაში. ავთო ექიმის ღირსებასა და პროფესიონალიზმზე მთელი დედოფლისწყაროს რაიონი ლაპარაკობს. მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება პაციენტების მიმართ, ზრუნვა და გულისხმიერება ღვთიური მადლის ტოლფასია. ალბათ დიდი ვაჟა-ფშაველას რიტორიკული კითხვის: „კარგ ყმად ვინა ვსთქვათო“, პასუხი მიგნებულა, თუ ავთო ექიმს კარგად იცნობთ.

მარტის მშვენიერი დღესასწაულები მამღვს ბედნიერ შემთხვევას თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვეფერო ჩვენს საყვარელ მაგული მასწავლებელს. იგი ჩვენი დროის გმირი, ქვემარტივად ღირსეული შვილი, დედა, და, სატრფო და მეუღლეა! ვუსურვებთ სიხარულს, სიყვარულს და დღეგრძელობას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად!

ლელა ღარაშვილი
ქვემო ქედის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

ქონების გარკვევის დავაში მოსალოდნელი საფრთხე

დედოფლისწყაროელი ილია პატაშვილის პრობლემამ თავი რამდენიმე წლის წინ იჩინა. როგორც ის ამბობს, წლებია, მის მოგვარებას ითხოვს, მაგრამ ამაოდ. გაზეთის რედაქციასაც ამ მიზეზით მოაკითხა.

რედაქციაში მოქალაქემ, კოსტავას ქუჩა N66-ში მცხოვრებმა ილია პატაშვილმა განცხადება შემოიტანა, განცხადება ასეთი შინაარსის გახლავთ: „მოგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს ყოფილი პოლიციის შენობა მდებარეობს ჩემი საკარმიდამო ეზოს გვერდით. მანძილი ჩემს ეზოსა და პოლიციის ყოფილ შენობას შორის 7-8 მეტრი იყო. 1980-იან წლებში პოლიციის შენობას მიაშენეს ოთახები ჩემი ეზოს მხრიდან, ისე, რომ როგორც მომიჯნავე მხარე, არც ჩამაყენეს საქმის კურსში, კედელი ისე ამოიყვანეს, რომ ჩემს მიჯნასა და პოლიციის კედელს შორის ერთი სანტიმეტრი დამორებაც აღარ არსებობს. უკვე წლებია, აღნიშნული კედელი გადასკდა და საშიშროებას გვიქმნის, როგორც ოჯახის წევრებს, რომლებიც ეზოში ხშირად ვტრიალებთ, ასევე ჩვენს ბინას და მანქანის სადგომსაც, რომელიც იქვეა აშენებული. აღნიშნული შენობის რამდენჯერმე მივმართე გამგეობას, საკრებულოს და პოლიციას, რათა მიეღოთ შესაბამისი ზომები, თუმცა, დღემდე არცერთ ორგანიზაციას არანაირი ღონისძიება ჩემი განცხადების საფუძველზე არ განუხორციელებია. გთხოვთ რედაქციას, დამეხმაროთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში. პატივისცემით ი. პატაშვილი.“

აღნიშნული განცხადება ჩვენ გადავცანით გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს

პაშა თიმოშაძეს. იგი ყურადღებით გაეცნო პატაშვილის განცხადებას და საქმის უკეთესად განხილვის მიზნით, იმავე დღეს ადგილზე მივიდა და პატაშვილის ბინა მოინახულა. ვაჟა თეთვაძის თქმით, საკითხი ნამდვილად პრობლემურია, მხოლოდ არა საგანგაშო, იმ კუთხით, რომ კედელს რკინის სალტე აქვს, თუმცა, თეთვაძემ მაინც ჩათვალა საჭიროდ, რომ საკითხი ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსისთვის, დავით ფხოველიშვილისთვის ეცნობებინა.

როგორც გამგეობის იურისტთან გიორგი გონაშვილთან გავარკვიეთ, აღმოჩნდა, რომ ბატონ ილიკოს პრობლემას ისიც კარგად იცნობდა. გამგეობის იურისტი პატაშვილის პრობლემასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ პოლიციის ყოფილი შენობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ქონება არ გახლავთ და ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება, ამიტომ სხვის ქონებაზე სამუშაოს ჩატარება, ან მისი დემონტაჟის უფლება კანონით ადგილობრივ ხელმძღვანელებს ეკრძალებათ. „მე ვიცნობ ამ განცხადებას და შესაბამისად,

ამ პრობლემასაც, ეს ბატონი ადრე ჩვენ მოგვმართავდა, საკითხს ახლოს გავეცანით, შევისწავლეთ, თუმცა, როგორც გითხარით, გავარკვიეთ, რომ იმ შენობის კედელზე, რომელზეც პატაშვილი გვთხოვს დახ-

ინფორმაციას ქონების მართვის სამსახურის წარმომადგენელი გიორგი ალუღიშვილი გაგაცნობთ“-აღნიშნავს ჩვენთან საუბარში ბატონი გიორგი.

გამგეობის ქონებისა და პრივატიზების მართვის სამსახურის უფროსი ბიორბი ალუღიშვილი დაზუსტებით გვიკონკრეტებს, რომ ძველი პოლიციის შენობა ნამდვილად სახელმწიფოს საკუთრებაა და არა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ქონება, ამიტომ სხვის ქონებაზე სამუშაოს ან დემონტაჟის უფლება ადგილობრივ ხელმძღვანელებს ეკრძალებათ.

როგორც ჩანს, პატაშვილმა აღნიშნული განცხადებით არათუ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, არამედ შს სამინისტროს ადმინისტრაციას ან მთავრობას უნდა მიმართოს, რასაც პატაშვილი თავისუფლად გამოიყენებს. ის ამ საკითხზე არცერთი სამინისტროს შენუხებას არ აპირებს, რადგან თვლის, რომ ზედმეტ ინსტანციაში იმდენი სამუშაო აქვთ სამინისტროებს, რომ რეგონში მცხოვრები ერთი ჩვეულებრივი ადამიანის განცხადებისთვის არც სცალიათ და არც ყურადღებას მიაქცივენ.

ილია პატაშვილის მიაჩნია, რომ ეს მაინც ადგილობრივ დონეზე უნდა გადაწყდეს და თუკი სამინისტროსგანაა ნებართვა ასაღები, ამ საკითხზეც ისევ და ისევ მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს, რადგან ის ამ მუნიციპალიტეტის მცხოვრებია და სწორედ ამ ხელმძღვანელობამ უნდა მიაქციოს მას ყურადღება.

ამასობაში კი, სანამ გაირკვევა პოლიციის ძველი შენობა ვის საკუთრებაშია, ვის აქვს უფლება ამორტიზებული კედლის დემონტაჟი განახორციელოს და ვის ეკუთვნის პასუხისმგებლობა კედლის ჩამონგრევის შემთხვევაში, არაა გამორიცხული პატაშვილის ეზოში ძველი პოლიციის კედელი ჩამოიშალოს და ამან მათი ოჯახი სერიოზულად დაზარალოს, ანდა, რაიმე ცუდი შედეგები გამოიღოს.

P.S. ვფიქრობთ, რომ, თუ პატაშვილი ორი წელია გამგეობას განცხადებით მიმართავდა, სულ მცირე გამგეობას ერთი თხოვნის წერილი მაინც უნდა გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, სადაც ის სამინისტროს აცნობებდა აღნიშნულ პრობლემას, თუ მოსალოდნელ საფრთხეებს და სულ მცირე ნებართვას მაინც აიღებდნენ, რომ კედლის დემონტაჟის უფლება მიეღოთ. თუმცა, მხოლოდ იმის დაიდგინებით, რომ ქონება მათი არაა და უფლება არ აქვთ, დაზარალებული ისევ რიგითი მოქალაქე რჩება, რომელსაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მის გასაჭირს ვიღაცამ გულგრილად შეხედა. იმედი გვაქვს, ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოება უზრუნველყოს.

ლალი მხრიშვილი



მარებას და დემონტაჟს, ჩვენ არანაირი უფლება არ გვაქვს მოვანგრიოთ, ან სხვა რაიმე ღონისძიება ჩავატაროთ, აქედან გამომდინარე, ვერანაირად ვერ დავუხმარეთ მოქალაქე ილია პატაშვილს. უფრო დანერგვით

რადგან თვლის, რომ ზედმეტ ინსტანციაში იმდენი სამუშაო აქვთ სამინისტროებს, რომ რეგონში მცხოვრები ერთი ჩვეულებრივი ადამიანის განცხადებისთვის არც სცალიათ და არც ყურადღებას მიაქცივენ.

„მწვანეთა მოძრაობა“ მოსახლეობას ენერგოეფექტურ გამოყენებას სთავაზობს

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ წარმომადგენლები რუსუდან სიმონიძე, ავთანდილ გელაძე და ლელა ყაჭიშვილი ესტუმრნენ. მათი მასპინძლები დედოფლისწყაროს „მწვანეთა მოძრაობის“ დედოფლისწყაროს კოორდინატორი ირმა რობიტაშვილი და გამგეობის არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის სპეციალისტი ანა ბენაშვილი გახლდნენ. ჩამოსულ გარემოსდაცველებს შეხვედრა ჰქონდათ მუნიციპალიტეტის სოფლების წარმომადგენლებთან და საკრებულოს წევრებთან. შეხვედრა გლობალური დიალოგით გამოწვეულ ბუნებაში არსებულ და მოსალოდნელ ცვლილებებს შეეხებოდა. ასევე ისაუბრეს ალტერნატიულ გზებზე და შერჩეულების ქმედებების განხორციელებაზე, რაც ტყის მასივის გადარჩენას და კლიმატური კატაკლიზმების მცირეოდენ შეჩერებას ითვალისწინებს. კლიმატური კატაკლიზმების შერჩეულების პროცესის ერთ-ერთი მაგალითი გახლავთ თუნდაც ის კამპანია, რის განხორციელებასაც „საქართველო მწვანეთა მოძრაობა“ ახალი პროექტის ფარგლებში აპირებს. კერძოდ, დაგეგმილია საქართველოს 5 რეგიონში, მათ შორის კახეთში, მზის წყლის გამათბობლების დამონტაჟება კერძო ოჯახებში და ორგანიზაცი-

ებზე. „გლობალური დიალოგის ძირითად მიზეზს წარმოადგენს დედამიწაზე ჰაერის მინისპირა ტემპერატურის თანმიმდევრული ზრდა, რომელიც უკავშირდება ადამიანის სამეურნეო საქმიანობას, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ძირითადად კი ეს პრობლემა უკავშირდება ენერგეტიკის სფეროს(დაახლოებით 65%) და ზოგადად ადამიანის მზარდ მოთხოვნილებას ენერგიაზე. ამდენად, კლიმატის ცვლილებების შერბილების პროცესში უდიდესი როლი აკისრია ენერგეტიკის სწორ და რაციონალურ გამოყენებას.“

„აღნიშნა სოფლის წარმომადგენლებთან საუბარში ქალბატონმა რუსუდან სიმონიძემ და შემდეგ სიტყვა ავთანდილ გელაძეს გადასცა, რომელმაც მზის ენერგიით წყლის გამავრცელებლებზე ისაუბრა: „მზის ენერგია წარმოადგენს სიტემას, რომელიც მუშაობს წლის ნებისმიერ დროს მზის ენერგიაზე და უზრუნველყოფს ცხელი წყლის მოწოდებას. მზის ენერგიით წყლის გამაცხელებელი სისტემიდან შესაძლებელია წყლის მიღება, ასევე თანამედროვე სახლების გაათბობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რის შედეგადაც, შესაძლებელია დაიზოგოს ენერგოხარჯები, დავიცვათ გარემო და ბუნებრივი

რესურსები. დღეისათვის მზის კოლექტორები ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ისეთ ქვეყნებში, სადაც მზის მაღალი გამოსხივებაა და ცივი ზამთარია, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც შეფერხებაა ელექტროენერჯის მიწოდებაში. საქართველოში მზის ენერჯის ხარჯზე შესაძლებელია მივიღოთ დაახლოებით 140 ლიტრი 70-80 ცელსიუს გრადუსი ცხელი წყალი, რასაც ყოველდღიურად დასჭირდება 15-20 კვტ.სთ ენერგია, დღიურად 2,5 ლარი, ყოველივე ეს კი, წლიურად 950 ლარს შეადგენს. თუმცა, საქართველოში ბოლომდე არ არის ათვისებული მზის პოტენციალი და აღნიშნულ გათვლებსაც ხშირ შემთხვევაში მოსახლეობა ეჭვის თვალით უყურებს.“

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვხედავთ, რომ თანდათან ინერგება ტენდენციები იმის თაობაზე, რომ ადამიანებმა ისწავლეს ენერგეტიკის დანახარჯის შემცირება და გარემოს დაცვა. ჩვენს რაიონში უკვე მომზადდება კერძო ბინებზე დამონტაჟებული მზის გამათბობლები, რომელსაც ოჯახები მოიხმარებენ და კარგ საგადასახადო დაზოგვებსაც აკეთებენ. ცნობისთვის, მზის წყლის გამაცხელებლის დამონტაჟების შედეგად შესაძლებელია მიღებულ იქნას დღეში 140 ლიტრი 70-80 გრა-



დუსამდე გაცხელებული წყალი. დანადგარი იმუშავებს 15-20 წლის განმავლობაში. რაც მთავარია, მისი დამონტაჟების შემდეგ მომხმარებელი არ იხდის არანაირ გადასახადს და მნიშვნელოვნად უმცირდება გადასახადები. ზემოხსენებულ აქციას, რომელიც ითვალისწინებს თითოეულ რეგიონზე 150-200 მზის ენერჯის გამათბობლის დამონტაჟებას, ორგანიზაცია „საქართველო გარემოს დაცვა“ გაეროს ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს და ის მსურველებს პროექტის ფარგლებში თანადაფინანსებით დაუმონტაჟებთ, საჭირო არის მსურველთა

მიერ მხოლოდ „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ მიერ შემოტანილი ბლანკების შევსება, რომელიც სოფლების რწმუნებულებს და საკრებულოს წევრებს დაურთავდათ. ასე რომ, მათ, ვისაც სოფლებში გასურთ დაამონტაჟოთ საკუთარ ბინებში მზის გამათბობლები და დაზოგოთ ენერგია, დანერგვით ინფორმაციის გასაცნობად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საკუთარი თემის წარმომადგენლებს, რომლებიც უფრო ახლოს მხარდაჭერით და დაგეხმარებიან მიიღოთ ზუსტი და ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

ლალი მხრიშვილი

კახური ტრაგედიის შემზარავი დეტალები "დაადგინეს, რომ კი არ დაგორდა, შვილმა ცხაუმი ამოხადა სული" ...

“დილას გამოსულა სახლიდან და მეზობლებისთვის უთქვამს, - მამაჩემი მოკვდაო. მეზობლებს რომ უკითხავთ, რა მოუვიდაო, უპასუხია, კიბეზე დაგორდა და თავი დაარტყაო...”

თელავის რაიონის სოფელ იყალთოში 43 წლის მამაკაცმა 76 წლის მამა ცემით მოკლა. სამართალდამცავთა ინფორმაციით ტრაგედია ურთიერთშეღებობის ნიადაგზე მოხდა.

უვარგისი შვილი მშობლისთვის მაინც შვილია, ცდილობდა, როგორმე ნორმალური ცხოვრებისკენ მოებრუნებინა, მაგრამ ვერაფერი გააწყო... ბიჭი გამუდმებით სვამდა. სვამდა და ჩხუბობდა. მამასთან არ ცხოვრობდა, თუმცა ხშირად მოდიოდა. არ ვიცი თავის ოჯახში რას აკეთებდა, მაგრამ აქ მოსული სულ შარზე იყო. ეს სწავლი მოხუცი კარგი ადამიანი იყო,

ლი ჰყავდეს... როგორც უკვე ვითხარით, ბიჭი ხშირად სვამდა, განსაკუთრებით, ციხიდან გამოსვლის შემდეგ... ზუსტად რის გამო იხდიდა სასჯელს, არ ვიცი, მაგრამ აქამდეც რამდენჯერმე იჯდა ციხეში. არ უყვარდა საცოდავ ჯიმშერს ოჯახურ პრობლემებზე ლაპარაკი და არც ჩვენ ვეძიებოდით, რაში იყო საქმე. არ ვიცი, ხმაური გაიგო ვინმემ, თუ - არა, მე შორს ვცხოვრობ მათგან, მაგრამ კიდევ რომ გაეგო ვინმეს აურზაურის ხმა, მაინც არავის გაუყვირებოდა, რადგან ბიჭი მამას მუდმივად ეჩხუბებოდა.

- ამ დროს ბიჭის დედა სად იყო?

- ბიჭის დედა ცალკე ცხოვრობს. იმ ღამეს ბიჭი გვიან მისულა... დილას გამოსულა სახლიდან და მეზობლებისთვის უთქვამს, - მამაჩემი



მოკვდაო. მეზობლებს რომ უკითხავთ, - რა მოუვიდაო, უპასუხია, - კიბეზე დაგორდა და თავი დაარტყაო... სახლში რომ შევიდნენ, საწყალი ჯიმშერი დასისხლიანებული დახვდათ. სასწრაფო დახმარების ბრიგადას გამოუძახეს, რომელსაც პოლიცია მოჰყვა. დაადგინეს, რომ კი არ დაგორდა, შვილმა ცემით ამოხადა სული. საწყალი კაცი ღამითვე მომკვდარა. ამბობენ, თავი აქვს დაზიანებული. როგორც ჩანს, ისეთი მთვრალი იყო, ვერ მოზომა. რა საშინელი ბედისწერა ჰქონია საწყალ კაცს - საკუთარი შვილის ხელით სიკვდილი.

დანაშაულში ექვმიტანილი ვასილ არსენიშვილი ცხელ კვალზე დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, ის რამდენჯერმეა ნასამართლევ.

დღე და ღამე მუშაობდა. პატიოსანი კაცი იყო, მაგრამ ხომ იცით, ყოველთვის არ ხდება, რომ კარგ მშობლებს კარგი შვი-

ვიცხვრება. იმ ღამეს ბიჭი გვიან მისულა... დილას გამოსულა სახლიდან და მეზობლებისთვის უთქვამს, - მამაჩემი

ადგილობრივების თქმით, მართალია შვილი ცალკე ცხოვრობდა, მაგრამ მამას ხშირად სტუმრობდა. კონფლიქტის ძირითადი მიზეზი კი ალკოჰოლი იყო. როგორც ახლობლები ამბობენ, შვილი ბევრს სვამდა, რის გამოც მამა საყვედურობდა, კონფლიქტაც ასე იწყებოდა, თუმცა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შვილი მამას სასიკვდილოდ გაიმეტებდა.



მარინა, იყალთოს მკვიდრი: - რაც ციხიდან გამოვიდა, სულ ჩხუბობდა. საცოდავი მოხუცი ბევრს ითმენდა,

კიკობოსინები

20-21-22 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კიკობოსინებში, მონაწილეობდა რამდენიმე ქვეყნის 180 სპორტსმენი. ფინანსების არქონის გამო „ზაქები“-დან მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. გიორგი ნატროშვილმა ერთმანეთზე საუკეთესო ბრძოლები ჩაატარა. მან შეხვედრები ნოკაუტით დაამთავრა, მხოლოდ ფინალში საკმაოდ ძლიერ სპორტსმენთან მოუხდა შეხვედრა და, მართალია, ნოკაუტით ვერ მოიგო, მაგრამ ქულების აშკარა უპირატესობით დაამარცხა საკმაოდ გამოცდილი სომეხი სპორტსმენი, რის შედეგადაც გიორგი ნატროშვილი ტურნირზე პირველი ადგილის მფლობელი

გახდა. ბრძოლა ჩატარდა K-1-ის წესებით. გიორგი გახდა საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და კიკობოსინების და ტაილანდური კრივის ფედერაციის პრეზიდენტის და, ამავდროულად, შეჯიბრის ორგანიზატორის ლამა ჭურაძის მადლობა დაიმსახურა. გამარჯვებულს გადაეცა განსაკუთრებული სიგელი. გიორგი ნატროშვილისთვის ეს ტურნირი 2015 წელში პირველი გახლდათ. იღბლიანი გამოდგა წლის დასაწყისი მისთვის. კიდევ და კიდევ უამრავ გამარჯვებას ვუსურვებთ ჩვენთვის შეუცვლელ ფალავანს.

ლალი მხრინიშვილი


მონატრება გელა ქოქიაშვილი

გელა, ჩემო მონატრებული შვილო, 1 მარტი შენი დაბადების დღეა. 52 წლის უნდა გამხდარიყავი, შვილო. 21 წელია უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. ძალიან გვენატრები, უშენობა ძალიან ძნელია ჩემთვისაც და შენი ცოლშვილისთვისაც. შენი ნინო მეორე შვილს ელოდება. სამი შვილიშვილის პაპა უნდა გამხდარიყავი, რომლითაც შენ ვერ გაიხარე. შენი შვილიშვილები მარტო სურათით გიცნობენ.

ამბობენ დრო მკურნალიაო, მაგრამ ეს ტყუილია. რაც დრო გადის მით უფრო ძალიან მენატრება შენი თავი. ყველაფერი უფლის ნებაა, ჩვენ ვერაფერს ვერ შევცვლით. რწმენით ვახერხებ ამ ტკივილიანი დღეების გადატანას. მამა ხომ ნაიყვანე, შვილო, შენთან, რა იქნება, რომ მეც ნამიყვანოთ, გულში ჩაგიკრა და მოგეფერო. შენს ძმასა და რძალსაც ძალიან ენატრები. შენი ძმისშვილები თამუნა და გელა შენს ნატვრში არიან. ამბობენ, რა იქნებოდა, გელა ძია

ცოცხალი გვყოლოდა და ჩვენც გავეხარაო. შენი ძმა სიმამარი გახდა, შვილო. ჩვენს მიერ დანტებული სანთლებმა სასუფეველში მიმავალი გზა გაგინათოს. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მინა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. შეუსრულებელ 52 წელს გილოცავთ, გელა.

შენი ტანჯული დედა, შენი ლავაზი (ჯოლ-შვილი, შვილიშვილები, სიმამარი, შენი ძმა, ძმისძეველი და ძმისშვილები.



თამაზ (ჩინელა) გებიაშვილი

ჩემო ძვირფასო მეუღლე, კიდევ ერთი დაბადების დღე მოვიდა უშენოდ, სევდიანი და

ცრემლიანი. გაუსაძლისია შენი მონატრება ჩვენთვის, ენატრები ყველას: შენ პატარა ნინოს, შენს მამას და დედინაცვალს, ისინი რუდუნებით უვლიან შენს საფლავს. დედინაცვალს, რომელიც დღემდე გვერდში გვიდგა. გული მწყდება, რომ ვერ მოესწარი ჩვენი შვილის მეუღლეს, რომელიც მფარველი ანგელოზივით მოგვევლინა და ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენი ოჯახი ისევე იხე ძლიერი იყოს და უშენობა შეგვიმსუბუქოს. მაგრამ უშენობა ხომ ცრემლით და სევდით

სავსეა მუდამ. ძალიან გვიჭირს უშენოდ შენი ყოველი დაბადების დღის აღნიშვნა. გვახსენდება შენი ღიმილიანი სახე, რომელიც ასე გვიყვარდა და ახლა ის მხოლოდ სურათებს შემორჩა. უდროოდ გამოგვეცალე, გულში დაგვიტოვე დიდი დარდი და მოუშუშებელი იარა. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მინა, ნათელში იყოს შენი ლამაზი სული და ილოცე იმ ხალხისთვის, ვინც შენთვის ჭიქა ღვინოს და სანთელს არ დაიმურებს. შენი ოჯახი და შენი შვილიშვილები ნინო.

მეუღლე ეთერ ზურიკაშვილი, შვილები: ნატო და მარინა დავითაშვილები, დები: რუსუდანი, ნეუნა, ვიოლა, ძმისცილი ლია ოჯახებით იუნყებიან

შალვა დავითაშვილის

გარდაცვალებას პანაშვიდი 2 მარტს, 4 საათზე. დაკრძალვა 3 მარტს, 1 საათზე ქ. დედოფლისწყაროში, ფალიაშვილის ქ. №18.

მეგობრები: ელგუჯა თეთვაძე, თამაზ ალუღიშვილი, ბესიკ კოჭლამაზაშვილი, გრიშა პირზადოვი, ზაურ კობტაშვილი, ზურაბ ჩალაბაშვილი, გივი პოპიაშვილი, ვალიკო ყაჭაშვილი, რეზო ალუღიშვილი, ომარ ქადაგიძე, ანდრო დანელიანი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ეთერ ზურიკაშვილს, ნატო და მარინა დავითაშვილებს

შალვა დავითაშვილის

გარდაცვალების გამო.

ჯაფარიძის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ადმინისტრაცია თანაგრძნობას უცხადებს რესურსცენტრის უფროსს, ეთერ ზურიკაშვილს მეუღლის

შალვა დავითაშვილის

გარდაცვალების გამო

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დალი ზალაშვილს და შოთა გოგოჭურს დედის

მარიამ ოჩიაიშვილ-გომოჭურის

გარდაცვალების გამო.

ზაურ გონაშვილი, თამაზ ნიკლაური, ნატო ყაჭაშვილი, ლევან ალავერდაშვილი, გია გარსენიშვილი, უმანგი ნყარუაშვილი, გიორგი ნატროშვილი, თამილა ფოლადაშვილი, ჯუმბერ უთრუთაშვილი იუნყებიან მეგობრისა და თანამოქალაქის

ზურაბ ცისკარაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

